15-ს მარტს №6. 1885 წელსა.

# მწყემსი

## ოფიციალური ნაწილი.

### განჩინება საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორისა.

4 მარტიდამ, 1885 წ., № 1348 შესახებ ხელ-მოუწერელ მოხსენებათა და საჩივრებთა უყურადღებოდ დატოვებისა.

უკაზისა მებრ მისი დიდებულებისა, საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორამ მოისმინა შემდეგი მოხსენება: სინოდალნი კანტორაში ძლიერ ხშირად შემოდის, განსაკუთრებით იმერეთიდამ და გურიიდამ, მოხსენებანი (ДОНОСЫ) ხელ-მოუწერელნი ანუ გამოგონებული სახელებით ხელ-მოწერილნი, რომელთა შინა არ არის აღნიშნული ცხოვრების ადგილი მომხსენებელთა, მედანოსეთა და რომელთა შინა არიან აღწერილნი სასულიერო უწყების პირთა ზოგიერთი ისეთი წინააღმდეგობითნი მოქმედებანი, რომელნიც არ ეხებიან და არ არღვევენ საზოგადოების სიმყუდროვეს. ამისთანა საჩივრები და მოხსენებანი, ხელ მოუწერელნი ლანძღვის წერილები, თანახმად სისხლის სამართლის მესამასე (300) მუხლის ძალით არ იქმნებიან გამოძიებულნი და, ამ მოხსენებათა მებრ, არც ცნობანი იქმნებიან შეკრებილნი, ამისათვის უყურადღებოდ იქმნებიან დატევებულნი. ბ რ ძ ა ნ ე ს: განსარინებლად შემდეგ დროში და მოსასპობლად ამისთანა მოხსენებათა და დანოსთა შემოსვლისა კანტორაში საქართველო სინოდალნი კანტორა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომელ ამისთანა საჩივრები, როგორც ხელ-მოუწერელნი, აგრეთვე გამოგონებული სახელებით ხელ-მოწერილნი, რომელთა შინა არ არის მომჩივნის საცხოვრებელი ადგილი ნაჩვენები და რომელთა შინა არის აღწერილი ისეთი გამამტყუნებელი სასულიერო უწყების პირთა საქციელნი, რომელნიც საშიშონი არ არიან საზოგადოების სიმშვიდის დარღვევისათვის, დაიტოვებიან უყურადღებოდ სინოდალნი კანტორისაგან. განჩინება ესე დაიბეჭდოს საყოველთაო საცნობლად „მწყემსში.“

### განჩინება უწმიდესი სინოდისა 5—18 სეკტემბრამდის 1884 წლისა, № 1801, უმაღლესად დამტკიცებულს წესდებულებებზედ და შტატებზედ სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა.

(გაგრძელება).

თავი VIII. სხვა თანამდებობის პირებზე.

§ 65. სხვა თანამდებობის პირნი: მოძღვარი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, იკონომოსი, სამმართველოს სეკრეტარი და საპატიო მცველი სამეურნეო ნაწილზედ წესდებიან თანამდებობაებზე ეპარქიის არქიერის მიერ სამმართველოის წარდგინებისამებრ.

§ 66. მოძღვარი ირჩევა პირთაგან ეპარქიის სამღვდელოებისა, გამოცდილი სასულიერო ცხოვრებაში და მცოდნე სემინარიის მოსწავლეთა ცხოვრების წესებისა.

§ 67. მოძღვრის მოვალეობათა ეკუთვნიან: ღვთის მსახურების აღსრულება სემინარიის ეკკლესიაში და სემინარიის მოსწავლეთა აღსარება.

შენიშვნა. მოძღვარს ნება აქვს, როცა საჭიროდ დაინახავს, იქონიოს სულიერნი საუბარნი მოსწავლეებთან.

§ 68. ბიბლიოთეკარი ირჩევა სამმრთველოისაგან სემინარიის ხელად-ყოფილის მასწავლებელის, სარგებლობს ამა თანამდებობისაგამო შტატში განსაზღვრული დამატებითი ჯამაგირით, გარდა იმ სემინარიათა, სადაც ეს მოვალეობა, შტატისამებრ, ეძლევა ერთ მასწავლებელთაგანს, განსაკუთრებული სასყიდლის გარეშე.

§ 69. მისს მოვალეობას შეადგენს: სწორი წაყვანა წიგნების თუ სხვათა (კატალოგების), დაცვა წესიერად და ხელ-უხლებლად ყველა წიგნებისა, რომლებიც შეადგენენ წიგნთ-საცავს, მიცემა წიგნებისა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისადმი და მიღება მათგან საფუძვლისა მებრ წესდებათა, რომელნიც დადგენილ არიან სემინარიის სამმართველოს მიერ.

§ 70. ექიმი ყოველ დღეს ნახულობს სემინარიის საავადმყოფოს ავადმყოფთა საექიმოდ და ავად გამხდართა გასასინჯავად.

§ 71. მას თვალი უჭირავს სიწმინდეზე და წესზე საავადმყოფოში და აგრეთვე იგი თვალყურს ადევნებს თავის მხრით სემინარიას, ყველაფერი, რაც შეეხება ბინას, შენახვას და საზოგადოდ მოსწავლეების ცხოვრებას, შეეფერება თუ არა სიმრთელის დაცვას.

§ 72. ყველა შენიშვნათა და მოაზრებათა თავის ნაწილზედ ექიმი უდგენს რეკტორს, რომელიც, მათი მნიშვნელობის მიხედულობით, ან თვითონ შერება შესაფერ განკარგულებათა, ან უდგენს მათ სამმართველოს.

§ 73. საჭირო შემთხვევებში ექიმთ იწვევს სამმართველო სხდომაზე ხმის უფლებით მის მოვალეობათა საგნების შესახებ.

§ 74. გარდა მოსწავლეთა ექიმს ვალდებულია უწამლოს სემინარიაში სხვა მოსამსახურე პირთაც.

§ 75. იკონომოსი ირჩევა როგორც სასულიერო პირთაგან, აგრეთვე სახორციელთაგანაც.

§ 76. იკონომოსს ვალად ადევს აღსრულებითი განკარგულებანი სამეურნეო ნაწილში.

§ 77. იკონომოსი ირჩევს მოსამსახურეებს, უნიშნავს მათ, სამმართველოს დამტკიცებით, ჯამაგირს, განაგებს მათ და ზრუნავს გასულების ადგილებზე მაგიერის დაუყოვნებლივ ჩაყენებაზე.

§ 78. იკონომოსი უნდა თვალ-ყურს ადევნებდეს სემინარიის შენობათა მდგომარეობას, მათს ჯეროვანს გათბობას და განათებას, სიწმინდეს და სისუფთავეს და აგრეთვე მოსწავლეების საჭმელსა და ტანისამოსს.

§ 79. მისს მოვალეობას შეადგენს აგრეთვე დაცვა პოლიციის წესდებათა სახლის შესახებ.

§ 80. იკონომოსი ადგენს შემოსავალ-გასავალი წიგნებს და თითოეული თვის გასვლის შემდეგ, უდგენს სამმართველოს უწყებებს: ერთს სახარჯოდ მიცემულს მისდამი ფულებზე, და მეორეს შემოსავალ-გასავალზე და ყველა მასალათა და საჭმელ-სასმელთაგან დანაშთენზე.

§ 81 სხვა და სხვა შემთხვევებზე უმახლობელეს ჩვენებათა ყველა ამ მოვალეობაების შესახებ იკონომოსი იღებს რეკტორისაგან ან სემინარიის სამმართველოსგან.

§ 82. საპატიო მცველი სამეურნეო ნაწილზედ ირჩევა აზნაურთაგან ანუ საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართაგან.

§ 83. საპატიო მცველის უმთავრესი მოვალეობა მდგომარეობს დახმარებაში სემინარიის შენახვის გასაუმჯობესებლად სამეურნეო ნაწილის მხრით.

§ 84. საპატიო მცველი ხელს უწყობს ამ საქმეს როგორც ფულის და სხვა, თავის ერთგულებისაგვარ, ერთდროული თუ მუდმივი შემოწირულობაებით, აგრეთვე მონაწილეობითაც სამმართველოს საქმეებში, ვითარცა მისი მწევრი სამეურნეო ნაწილში.

§ 85. იმას აქვს უფლება იაროს სემინარიის სანახავად, განსაკუთრებით როცა სწავლა არ არის, დაესწროს მოსწავლეთა სადილ-ვახშამს, მიაქციოს ყურადღება მათ საჭიროებაებს შესახებ საჭმლითა და ტანისამოსით შენახვისა, დაათვალიეროს სადგომი ოთახები, საავადმყოფო, სამზარეულო და სემინარიის სხვა სამეურნეო დაწესებულებანი.

§. 86. თუ რამე აღუსრულებლად დატოვებული ანუ უწესოებანი შენიშნა, საპატიო მცველს ნება აქვს მოახსენოს ამაზედ რეკტორს.

§ 87. სამმართველოს სეკრეტარი ირჩევა სემინარიის მასწავლებელთაგან, ანუ პირთაგან, რომელნიც არ ეკუთვნიან მას.

§ 88. სამმართველოს სეკრეტარი მართავს მის კანცელარიას და სემინარიის არხივს.

§ 89. მისს მოვალეობათა ეკუთვნის მოსახსენებლად დამზადება საქმეების, რომელნიც სამმართველოში შემოდიან, მათი მოხსენება, ჟურნალების შედგენა სამმართველოს დასკვნათამებრ და მათ მებრ აღსრულებანი საკუთარის ხელ-მოწერილობით მართვა მიწერ-მოწერის რეკტორის ნაწილზედ, და საზოგადოდ აღსრულება ყველაფრის, რაც კი შეეხება სამმართველოს საქმის წარმოებას.

§ 90. მწერლებს ქირაობს სამმართველოს სეკრეტარი, სემინარიის რეკტორის შეტყობინებით, და ისინი იღებენ ჯამაგირს, სამმართველოს დანიშვნისა მებრ, კანცელარიისთვის დანიშნულის საზოგადო ჯამიდგან.

**შენიშვნა:** სემინარიის მოსწავლენი არ შეიძლება დაშვებულ იქმნენ მიწერ-მოწერაზედ.

### თავი VIII სემინარიის სამმართველოზედ.

§ 91. სემინარიის სამმართველოს აქვს ორგვარი კრებანი: ა) პედაგოგიურნი. და ბ) განკარგულებითნი.

§ 92. პედაგოგიურს კრებებში არიან, რეკტორის თავმჯდომარეობით, ინსპექტორი, მასწავლებლებიდგან სამი წევრი, რომლებიც ინიშნებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქიის არქიერის მიერ, და ეპარქიის მღვდელთაგან ორი მწევრი, რომელთაც ირჩევს სამღვდელოება სამის წლის ვადით, ადგილობრივი არქიერის დამტკიცებით.

§ 93. სამართველოს წევრთა ამორჩევად სამღვდელოებისაგან და ეპარქიის სასულიერო სასწავლებელთა საჭიროების განსახილველად, ყოვლად სამღვდელოს შეხედულობისა მებრ, მოიწოდებიან საზოგადო ეპარქიალური კრებანი. სამღვდელო პირთა რიცხვი კრებების შესადგენად და მათი არჩევის ღონის-ძიებანი ისაზღვრებიან ეპარქიის ყოვლად სამღვდელოს მიერ.

§ 94. განკარგულებით კრებებში არიან, რეკტორის თავმჯდომარეობით, ინპექტორი, ერთი მასწვლებელთაგანი და სამმართველოს ერთი წევრი ეპარქიალური სამღვდელოებისგან, ყოვლად სამღვდელოს დანიშნვით, საპატიო მცველი სამეურნეო ნაწილზედ და იკონომოსი.

შენიშვა. საპატიო მცველი ესწრება სამმართველოს სხდომას, როდესაც კი მოუხერხდება ეს მას.

§ 95. სამმართველოს პედაგოგიური კრებანი ხდებიან თვეში ერთხელ, ხოლო განკარგულებითნი კვირაში ერთხელ.

§ 96. თუ ვინიცობაა საჭიროება მოითხოვს, შეიძლება მოწვეულ იქმნენ მოულოდნელი (экстренныя) კრებანი, როგორც პედაგოგიურნი, აგრეთვე განკარგულებითნიც, რეკტორის დანიშვნით.

§ 97. სამმართველოს კრებანი უნდა ხდებოდენ სწავლისგან თავისუფალს დროს.

§ 98. თუ წევრთაგან ვისმეს არ შეუძლია გამოცხადდეს კრებაში, მაშინ თავის მოუსვლელობის მიზეზი უნდა აცნობოს სამმართველოს სეკრეტარს მის შესატყობინებლად შეკრებილებისთვის და ჟურნალში შესატანად.

§ 99. ორ დამსწრე წევრთ არ შეუძლიათ მოითხოვონ ხელ-ახლა გარდაწყვეტა უმათოდ მომხდარ დადგინებათა და გარდაწყვეტილებათა.

§ 100. თვითოეულს სამმართველოს წევრს აქვს ნება წარუდგინოს სამმართველოს საგულობელი აზრები (предположенія) გაუმჯობესობაებზედ სემინარიის დაწყობილობის რომელიმე ნაწილის შესახებ.

§ 101. ეს საგულებელი აზრები რამდენიმე დღით წინ კრებამდის შეიტანებიან წერილით სამმართველოს თავსმჯდომარესთან.

§ 102. საქმეები სამმართველოში სწყდებიან, შეძლებისა მებრ, ერთსული თანხმობით; უთანხმოების დროს, ცალკე აზრები შემოიტანებიან წერილობით წარიდგინებიან ყოვლად სამღვდელოს განსახილველად.

§ 102. პედაგოგიური კრებების საგნებს შეადგენენ:

1) საქმეები მოსწავლეთა მიღებაზედ სემინარიაში, მათ გადაყვანაზედ კლასებიდგან კლასში ანუ იმავე კლასში დატოვებაზედ, წესდებულებისაგან ნებადართულს შემთხვევებში.

2) უწყებების განხილვა მოსწავლეების წარმატებაზედ და ყოფაქცევაზედ.

3) საზოგადო სიების შედგენა ეგზამენების შემდეგ.

4) განხილვა თხოვნებისა მოსწავლეების სემინარიაში მიღებაზე სახელმწიფო ხარჯით და ამორჩევა საუკეთესოების § 11-მებრ.

5) ჯილდოების დანიშვნა საეკკლესიო მოსწავლეთათვის.

6) საუკეთესო მოსწავლეების დანიშვნა აკადემიებში შესასვლელად, განკარგულებანი მოსწავლეებისთვის ატტესტატების ანუ მოწმობების მიცემაზედ.

7) გამორიცხვა არა კეთილ-საიმედო მოსწავლეთა სემინარიიდგან.

8) კანდიდატების წარგენა §§ 58 და 65-ში დასახელებულს თანამდებობაებზედ.

9) გამოცდათა დანიშვნა პირებისთვის, რომლებთაც შემოაქვსთ სამმართველოში თხოვნები სასულიერო სასწავლებლებში განმწესებაზედ მასწავლებლების თანამდებობაებზედ. (§ 61 წესდებულ. სას. სასწ.).

10) მასწავლებლებისთვის დამატებითი გაკვეთილების დანიშვნა.

11) განხილვა კლასებში საყოველ-კვირაო გაკვეთილების სიის, რომელსაც ადგენს ინსპექტორი სასწავლო წლის დასაწყისს.

12) მოსაზრებანი კლასების გაყოფის შესახებ პარალელურ განყოფილებაებათ.

13) საგულობელი აზრების განხილვა ცვლილებაეზედ პროგრამებში.

14) სწავლების მეთოდის განხილვა.

15) გამოძებნა ღონის-ძიებათა სრულიად საიმედოდ დარწმუნებისათვის მოსწავლეთაგან შეთვისებაში მათდამი გარდაცემულის საგნებისა.

16) წიგნების არჩევა წიგნთ-საცავისათვის და აგრეთვე შედგენა წესდებათა დაცვისა და წიგნთ-საცავიდგან წიგნების მიცემას წესზედ.

17) ეგზამენების მოსახდენად კომისიების და დროს დანიშვნა (§ 131).

18) ინსპექტორისთვის ინსტრუკციის შედგენა და მისი თანაშემწეების ინსტრუკციის განხილვა.

19) წესდებათა შედგენა როგორც სემინარიაში მცხოვრებთ, აგრეთვე გარეშე სადგომებში მყოფთ მოსწავლეთათვის და ამ უკანასკნელებზედ თვალის დაჭერის წესის განსაზღვრა.

20) შედგენა წესდებათა მოსწავლეების დისციპლინარულ სასჯელთა ზომებზე.

21) გამოძებნა და განხილვა საზოგადო ზომების მოსწავლეთა შორის კეთილ ზნეობის დასაცველად და განსამტკიცებლად.

22) რექტორის სასწავლო და ზნეობითს ნაწილზედ წლიური ანგარიშის განხილვა.

23) სასულიერო სასწავლებლების შესახები საქმეები, რომლებიც ნაჩვენები არიან ამ სასწავლებლების წესდებულებაში.

§ 104. სამმართველოს განკარგულებითი კრებებს მინდობილი აქვს:

1) მართვა სემინარიის მეურნეობის ყველა ნაწილებისა და აგრეთვე სემინარიის ქონებისა და შენობებისა.

2) სემინარიისთვის საჭირო ნივთების ნარდად აღებაზედ და გადაკვეთილის ფასით ზიდვაზედ, ვაჭრობათა წარმოება და კანონიერის საფუძვლით ამაზედ კანტრაქტების და პირობების შეკვრა, ანუ განკარგულება სასმელ-საჭმელთა და მასალათა მომზადებაზედ, და აგრეთვე მუშაობის წარმოებაზედ, სამეურნეო საშუალებით, როდესაც ეს უფრო სასარგებლოდ აღმოჩნდება.

3) ზომების გამოძებნა რომელიმე მუხლის გასაუმჯობესებლად სამეურნეო ნაწილში და განხილვა შემოსულ განცხადებათა ამაზედ ანუ რომელიმე ნაკლულევანებებზე და დაუდევნელობაებზედ.

4) თვალის მიდევნება თავ-თავის დროზედ ფულების შემოსვლაზედ, მათ ჩაწერაზედ შემოსავლის წიგნში და ხარჯვაზედ წლიური ანგარიშისა და ცალკე მოწერილობაებისა დაგვარ.

5) შენახვა და შემოწმება სემინარიის ნაღდი ფულებისა, როგორც ამას ითხოვს ამ საგანზედ საზოგადო სჯულდებანი.

6) ანგარიშის მიცემა ფულებში ამისათვის დადგენილ წესდებათამებრ.

7) საქმეები საგზაო ფულებზედ (прогоны), შემწეობაებზედ და პენსიებზედ სემინარიაში მოსამსახურეთათვის.

8) მოაზრებანი დამატებით ჯილდოზედ მასწავლებლებისათვის, რომელთაც აქვსთ, შტატის წინააღმდეგ, უმეტესი რიცხვი გაკვეთილთა და აგრეთვე ჯამაგირზედ სხვა სასწავლებლებიდგან მოწვეულ მასწავლებლებისთვის.

9) სადგომების დანიშვნა პირთათვის, რომელთაც მათი ნება აქვს.

10) ანგარიშთა შედგენა.

11) საჭირო ზონარ გაყრილი წიგნების მიცემა.

12) შედგენა ნამსახურებით სიათა სემინარიის ყველა თანამდებობის პირებისა, გარდა სამმართველოს წევრთა ეპარქიის სამღვდელოებისაგან.

13) კომისიების დანიშვნა სემინარიის ქონების, წიგნთ საცავის, ფიზიკური კაბინეტის და არხივის შესამოწმებლად.

§ 105. ჟურნალები სამმართველოს შეკრებილებათა სასწავლო-აღსაზრდელ და სამეურნეო განკარგულებითი ნაწილებზედ სდგებიან ცალკე.

§ 106. ყველა საქმეების შესახებ, რომლებიც განხილულ არიან სამმართველოს როგორც პედაგოგიურს, აგრეთვე განკარგულებითს შეკრებულებებში, თავმჯდომარე უდგენს ეპარქიის არქიერს ნამდვილ ჟურნალებს.

§ 107. ეპარქიის არქიერი ამ წესდებულებაში მოხსენებულ შემთხვევებში და გარდა ამისა შესახებ 12 და 13 მუხლთა § 103, 10 მუხლისა § 104 უგზავნის წარდგინებას უწმიდესს სინოდს; ხოლო სამმართველოს დასკვნათა სხვა საგნების შესახებ ამტკიცებს საკუთარის უფლებით.

შენიშვნა. უოვლად სამღვდელოს ეპარქიიდგან სხვაგან წაბრძანების დროს, დასკვნები საქმეებზედ, რომლების გადადება შეუძლებელია და რომლებიც სწყდებიან ეპარქიის არქიერის უფლებით, სამმართველოს თვითან შეუძლია მოიყვანოს სისრულეში, დაუყოვნებლივ მოახსენებს რა ამაზედ ყოვლად სამღვდელოს.

§ 108. სამმართველოს სახელზე ყველა შემოსული ქაღალდები მიდიან მის თავმჯდომარესთან და მისი ზედწარწერილობები თურთ კუთვნილებისამებრ ურიგდებიანს ამმართველოს ან პედაგოგიურს, ან განკარგულებითს კრებებს. სამმართველოდგან გამომავალი ქაღალდები ხელ-მოიწერებიან თავმჯდომარის ინსპექტორის მიერ.

15-ს მარტს | წელიწადი მესამე. | 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 6.

## არა ოფიციალური ნაწილი

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію* [illegible]*жемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყ[illegible]ება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნ[illegible]სულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დ[illegible]ბიან.

### საერო წოდების ჟურნალ-გაზეთთა მსჯელობა და აზრი სამღვდელოებაზე და მათ საქმეებზე.

ჰარგმა ხანმა გაიარა ჟურნალ-გაზ[illegible]
ბიდამ. ერთ დრომდე [illegible]
კლესიო და სამღვდელო[illegible]
ყურადღებას არ აქცევდნენ; [illegible]
ცა მიაქციეს ყურადღება, მაგრამ ნება არ ჰქონდათ მათზე სჯისა და წერისა. ბოლოს დროს იშოვეს ნება, ყველას თავისუფლად შეუძლია გამოაცხადოს თავისი შეხედულობა და აზრი საეკკლესიო, სასულიერო წოდებაზე, მათ მართვაზე და მოქმედებაზე. ან რა იყო ამ წოდებაში დასაფარავი წინეთ? რომელ წოდებას მიუძღვის იმდენი ღვაწლი საზოგადოდ ხალხის ცხოვრების ისტორიაში, რამდენიც სასულიერო წოდებას? ვინ იყო ხალხის აღმზრდელი, კეთილ-ზნეობის და სარწმუნოების სწავლის გამავრცელებელი ხალხში თუ არა ქრისტეს სწავლის მოძღვარნი? ვინ ამხნევებდა ხალხს სხვა-და-სხვა ბარბაროსთა მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ არა ქრისტეს სწავლის მოძღვარნი? ვისაც ეს წარსული დრო ახსოვს, ვისაც კარგად გაუგია და გამოუკვლევია ამ წოდების მოქმედება ძველ დროში და ეხლაც, ის, რასაკვირველია, სულ [illegible] აზრით შეხედავს მათ და ყოველთვის კრძალვი[illegible] კონებს ამ წოდებას. მართლაც, მრავალს ად[illegible] საერო წოდების ჟურნ[illegible]-გაზეთებში თქვე[illegible]ლობთ
[illegible]ბას საეკკლესი[illegible]ვდელო
[illegible]აქმეებზე. [illegible]ნალ-გაზე-
[illegible]იერო წო[illegible] უყურებენ ისე როგორც ყველაზე [illegible]ოს წოდებას; ამისათვის თავის მხრით აცხადებენ სხვა და სხვა მოსაზრებათა და მსჯელობათა, როგორც მათი ცხოვრების შესახებ, ისე მათი დიდი ძნელი მოვალეობის ასრულების შესახებ. ერთი სიტყვით, ამ რიგი ჟურნალ-გაზეთების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სამღვდელოებას დაეხმარონ და ხელი მოუწყონ მათი ძნელი მოვალეობის ასრულებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა საერო წოდების ბეჭვდითი ორგანებს ძლიერ მცირეს ვხედავთ მთელს ჩვენს სახელმწიფოში. ხშირად ზოგიერთ საერო უწყების ჟურნალ-გაზეთებში ისეთს მსჯელობას და აზრებს კითხულობთ საეკკლესიო და სასულიერო წოდების საქმეებზე, რომ ჰკვირდებით და მიზეზი ზოგიერთ უმგვანო და უსაფუძვლო მსჯელობათა ვერ აგიხსნიათ! რას არ სწერენ, რას არ მიედ-მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან? ერთი ამბობს, რომ სასულიერო წოდება მეტია და სულ საჭირო არ არისო, მეორე ამბობს: პატრიარხობა თუ დაწესდა, მაშინ წავა კარგად საქმე ეკკლესიისა და სასულიერო წოდებისაო; სხვანი რას ამბობენ კიდევ, ვინ მოსთვლის?!.

რუსეთში მრავალია საერო წოდების ჟურნალ-გაზეთები; მაგრამ მრავალია აგრეთვე სასულიერო უწყების გამოცემაებიც, რომელნიც შესაფერ პასუხს აძლევენ ზოგიერთ წინ დაუხედავ ჟურნალ-გაზეთთა უმგვანო და უსაფუძვლო წარმოთქმულ აზრებს და მსჯელობას საეკკლესიო და სასულიერო უწყების საქმეების შესახებ.

ჩვენს საქართველოში ერთად ერთი ქართული გაზეთი გაგვაჩნია, რომელიც შეძლებისა და გვარად შრომობს და არც ერთი წოდების კითხვებს არ ტოვებს უყურადღებოდ. ის ხშირად ჩვენი საეკკლესიო და სასულიერო წოდების საქმეებზედაც გამართავს ხოლმე წერას, მაგრამ, სამწუხაროდ, ძრიელ ხშირად შეცდომაში ვარდება. რომ ეს შეცდომები, ამ ჩვენ პატივცემულ პატარა ქართულ გაზეთს უცოდინარობით არ მოსდიოდეს, ჩვენ არ გაუშვებდით უყურადღებოდ, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მათი მოსაზრება სასულიერო წოდების საქმეების შესახებ უცოდინარობით მოსდის ხოლმე და ჩვენც ყურადღებას არ ვაქცევდით.

ამ ბოლოს დროს შევნიშნეთ, რომ ხალხში იმისთანა მკითხველებიც მრავალნი ყოფილან, რომელნიც ყველა გაზეთში გამოთქმულ სიტყვებს და აზრებს განუსჯელად ერწმუნებიან და ნამდვილად სთვლიან ყველა სიტყვებს, სრულებით მათ გარჩევაში არ შედიან: მართალია, თუ არა რომელიმე აზრი სასულიერო წოდებაზე, მათ მოქმედებაზე და წეს-წყობილებაზე? ამისათვის ხალხში ითესება შემცდარი, მრუდე აზრები სამღვდელოებაზე და ბოლოს ცუდი ნაყოფი მოაქვს ამისთანა აზრებს. ავიღოთ მაგალითებრ ზოგიერთი ნაწერები და გავსინჯოთ, თუ რამდენად დაცულია მათში ლოღიკური აზრი და სიმართლე.

ჩვენმა სამღვდელოებამ, დიდი ხანია, მიაქცია ყურადღება ხალხის მავნე და გამაღარიბებელ ჩვეულებაებს, რომელნიც მტკიცედ სრულდებიან გარდაცვალებულების დამარხვის და მათი სულის მოხსენების, წირვის, ნათლობის და სხვა-და-სხვა ტაძრის დღესასწაულობის დროს. ამის შესახებ ჩვენს გაზეთშიაც მრავალ ჯერ დაბეჭდილა კორრესპონდენციები. ამისთანა კორრესპონდენციების გამო ჩვენ ვკითხულობთ ,,დროების'' მე 41 №-ში შემდეგს:

ადგილობრივს გაზეთებში დაბეჭდილ კორესპონდენციებს რომ თვალი ადევნოთ, წელიწადში სამას სამოცდა ხუთ ჯერ მაინც წაიკითხავთ, თუ მეტჯერ არა, იმ უსარგებლო ხარჯებზედ, რომელსაც სწევს ხალხი მიცვალებულის დასაფლავებაზედ, წლის წირვებზედ, ქორწილზედ, ან სხვა ამ გვარ შეკრებილებაზედ. კორესპონდენტების აზრით, ეს შეკრებილებანი შეადგენენ უმთავრესს მიზეზს ჩვენის ხალხის სიღარიბისას და თუ მღვდლები ქადაგებით და მასწავლებლები დარიგებით დაეხმარებიან ამ მავნე ჩვეულების მოსპობას, ხალხის კეთილ-დღეობა ძალზედ წინ წაიწევსო.

ამ სამას სამოცდა ხუთჯერ ერთისა და იმავე ამბის დამწერთ შორის, რომ ერთიც არის ჩაკვირვებოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველ გვარ ხალხის შეკრებილებას და რისთვის არის ესეთი პირველის შეხედვით «მავნე და დამაღარიბებელი ჩვეულება» შემოღებული, იქნება მაშინ მაინც აგვცდენოდა მრავალი ამგვარი კორესპონდენციების კითხვა და იქნება თვით კორესპონდენტებს ამ საგანში სხვა უფრო შესანიშნავ მოვლენისათვის მიექციათ თავიანთი ყურადღება.

დავიწყოთ იქიდამ, რომ ადამიანს ბუნებითვე დაყოლილი აქვს წადილი სხვა ადამიანებთან დაახლოებისა, დრო-გამოშვებით მათთან შეყრისა და თავის გულის-პასუხის გაზიარებისა. კაცი ოთხფეხი პირუტყვი კი არ არის, რომ თავის სოროში დაიბუნაგოს და გარეშე ცხოვრებასთან ყოველ-გვარი დამოკიდებულება მოსპოს. იგი საჭიროებს თავის მზგავსებთან ერთობას, გრძნობათა გაზიარებას, შემწეობისა და ნუგეშის მიღებას სიტყვით, თუ საქმით და ხან-დის-ხან შემწეობის მიცემასაც. თვით ზოგიერთნი პირუტყვნიც არ არიან მოკლებულნი ამ შესანიშნავს თვისებას და რა გასაკვირველია, რომ კაცს, «ღვთის ხატებად შექმნილს» იგი უმაღლესს წერტილამდე აეყვანოს და საუკეთესო გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა მასზედ დაემყარებინოს.

ჩვენს ხალხსაც თავის «მავნე და გამაღარიბებელი» ჩვეულებანი იმიტომ შემოუღია, რომ ეს დანიშნულება ადამიანისა შეესრულებინა და თავის ბუნების მოთხოვნილებისამებრ მოქცეულიყო. უამათოდ ყოველი ოჯახი ჩაკეტილში უნდა მჯდარიყო და თითქმის უნდა მოესპო კავშირი სხვა ოჯახებთან, სხვა სოფლებთან, სხვა მხარეებთან. ამას გრძნობდა ხალხი და ამიტომაც წესად დასდვა, რომ ყოველს ადამიანს საოჯახოს მხიარულების ან მწუხარების დროს თავის ნათესავნი, მეგობარნი და მცნობნი გვერდს ახლდნენ ჭირისა და ლხინის გასაყოფად.

შემდეგ ამისა ,,დროება'' ურჩევს სოფლის მღვდლებს და მასწავლებლებს, რომ უქადაგონ ხალხს ძველ ჩვეულებას ე. ი. გაჭირების და დალხინების დროს ერთმანეთის დახმარებას შესაწევრით, ნუ დაივიწყებენო... ამ მოსაზრებას ჩვენის მხრით განმარტება აღარ ეჭირება!..

უკანასკნელ საზოგადო ეპარქიალურ შეკრებილებაზე ქართლ-კახეთის საზოგადოებამ მიუთითა სასულიერო მართებლობას თუ რა მიზეზით მოსპო ხალხმა სიარული ეკკლესიაში და ამ მიზეზების მოსასპობლადაც ზომანი აღმოაჩინა. სხვათა შორის ,,დროება'' ამ კრების გარდაწყვეტილების გამო აი რასა სწერს:

,,კოდის პურის'' გადახდა ისე არ უძნელდება გლეხს, როგორც — სხვა მოულოდნელი გარდასახადისა მღვდლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლოდ, და უკანასკნელთ შორის, ნამეტნავად სამკვდროსი, განსაკუთრებით ამ ბოლოხნდელ განკარგულების ძალით.

რადგანაც გლეხმა კაცმა იცის, რომ იგი მოვალე არის გარდაიხადოს ყოველ წლივ თითო კოდი პური მღვდლის სასარგებლოდ, ცდილობს, რაც კი შეუძლიან, წინადვე დაიჭიროს თადარიგი, «კომლის პურის» გარდახდისა და კიდეც იხდის, თუ სიკვდილმა ან სხვა გარემოებამ არ დასცა იგი უფრო მეტად მატერიალურის მხრით. არაფერი არ აღარიბებს გლეხს ისე, როგორც სიკვდილი. სხვა ხარჯის გარდა დამარხვის დროს, რომელიც შეიძლება შინვე მოახერხოს, ცხედრის პატრონმა უნდა მოამზადოს მღვდლისათვის სამი მანათი ფული, რომელიც იშვიათად ექნება გლეხს შინ ამისთანა შემთხვევის დროს. მომეტებული ნაწილი მიდის, სესხულობს ფულის პატრონისაგან და რამდენიმე თვის შემდეგ იხდის ერთი-ორად. მოხდება ისე, რომ ერთ ოჯახში წელიწადში კვდება 3 4, რის გამოც ოჯახის პ ტრონს ეხარჯება მარტო მღვდლის გასტუმრებაზედ 9-12 მანეთამდე. შემდეგ ამ ფულს გლეხი იხდის ერთი-ორად სხვის სასარგებლოდ. ამას მივუმატოთ «კოდის პური», სხვა წვრილმანი გადასახადი მღვდლის სასარგებლოდ და დავინახავთ სადამდისა სჭრის ერთი გლეხისათვის წლიური მღვდლის გარდასახადი მაშინ, როდესაც მეორეს სულ 2-3 მანეთი უჯდება. აი ნამდვილი ფაქტი: ერთ სოფელში ერთი თვის წინად ერთი ღარიბი კაცის სახლში მოკვდა სამი ბავშვი ყვავილით. ბავშვების პატრონმა სამივეს სამკვდრო ახალი წესით წინადვე ჩააბარა მღვდელს ვალად აღებული. რამდენიმე დღის შ მდეგ ამავე გლეხს მოუკვდა მეოთხე შვილი. რადგანაც აღარ ჰქონდა შეძლება და არც მომატებული ვალი ანდო ვინმემ, შეეხვეწა მღვდელს, რომ უსასყიდლოდ შეესრულებინა გარდაცვალებულისათვის ქრისტიანული წესები; მღვდელმა უარი განაცხადა. გლეხი ძულებული შეიქნა თითონ დაემარხა საბრალო ბავშვი ქრისტიანული წესების შეუსრულებლად. მოდით ახლა ამ გლეხს დაუკეტეთ კვირა-უქმობით სასამართლოც და მიიყვანეთ ეკკლესიაში!.. მეორე ფაქტი: ერთ სოფელში წარსულ წელს გადაიწვა ოცამდის გლეხის სახლი ისე, რომ პატრონებმა სულების მეტი ვერა გადაანარჩუნეს-რა ცეცხლს. ვინც კი გაიგო ეს უბედურება გლეხებისა გაზეთების საშუალებით, უგზავნიდენ აქეთ-იქიდგან დაზარალებულთ უსახელო წერილებით ფულს. თვით პოლიციამაც და საზოგადოებამაც დიდი შემწეობა მისცეს დაზარალებულთ სახელმწიფო ვალდებულების გადახდაში. ამავე დროს ადგილობრივმა მღვდელმა, რომელსაც არც ცოლი ჰყავს, არც შვილი, არც სხვა ვინმე თავის თავის მეტი, და რომელსაც შვიდას-რვაასი თუმანი ბანკში აქვს და ერთი იმდენიც შინ უწყვია, მოითხოვა ჩაფარი და მის შემწეობით გადამწვრებს ტყავი გააძრო, ვიდრე სრულებით არ ჩააბარეს მას «კოდის პურები». კაცობრიულ სიყვარულს ამისთანა საქმის მომქმედის მღვდლისას ამტკიცებენ ჩაფრის სიტყვები ჩემდამი მომართულნი: «რა ულმერთობაა! კაცს რომ მჭადი არა ჰქონდეს საჭმელად, განა იმას-ღა ეთხოვება რამე? სახლში შევდივარ და გირაო ვერ მიპოვნია, რომ გამოვიტანო. ცოდვით გული მიკვდება». ჩაფარიც კი ამას ამბობს მაშინ, როდესაც სულიერი მამა ტყავს აძრობს საცოდავ გლეხებს. რა გულით და თვალით უნდა უყურონ ხსენებულ სულიერ მამას ტყავ-გამძვრალმა გლეხებმა თუნდ გარედ, თუნდ ეკკლესიაში, ძალათაც რომ შევრეკოთ?..

ამას წინეთ ერთ რუსულ გაზეთში იყო დაბეჭდილი ერთი ყოვლად შემაძრწუნებელი ამბავი. ერთი ვაჭარი თავის პოვოზკით მიდიოდა სავაჭროთო, სწერდა კორესპონდენტი; გზაში შემოაღამდაო. ეშინოდა უბრალო კაცთან დადგომის და მღვდლის ოჯახს მიაშურა და მასთან დაიბინავაო. მღვდელმა, რომ შენიშნა ბევრი ფულების ქონება ღამე მძინარს მიეპარა და მოჰკლაო. ფულები გამოაცალა და მდიდარი თავის „პოვოზკაში“ ჩააგდო, შეუბა ცხენები და გაუშვა გზაზეო. დილით ადრე საწირავად წავიდა, მაგრამ სინიდისმა შეაწუხა და ტრაპეზში თავი დაიღრჩოვო. ამ საზიზღარმა ხმამ მთელი რუსეთი მოიარა. იმ დროიდამ დღემდის დაეძებენ და ვერ ნახეს ვერც ეს მკვდარი ვაჭარი, ვერც თავ-ჩამომხჩვალი მღვდელი და ვერც ის ეკკლესია, რომელშიდაც ამისთანა საქმე მომხდარიყოს! რას უნდა მიეაწეროთ ეს? მეორე ფაქტი. რუსულ გაზეთს „ობზორში“ იყო დაბეჭდილი შემდეგი ამბავი. „მეფე-დედოფალი შევიდნენ ჟ—ის ეკკლესიაში და სთხოვეს მღვდელს გვირგვინის კურთხევა. მღვდელმა გვირგვინის საკურთხი სთხოვა ოცდა ხუთი მანეთი. მეფე დედოფალი ღარიბები იყვნენ. შეაძლიეს თუმანი. მღვდელმა არ აკურთხა გვირგვინი. შესწუხდნენ საწყლები და ტირილით დაუწყეს ხვეწნა მღვდელს. მღვდელმა უკანასკნელი სიტყვა გამოუცხადა: მიეცათ თხუთმეტი მანეთი, დაეპატიჟნათ და იმდენი ღვინო დაელევინებინათ, რამდენსაც მოითხოვდა. ატირებული მეფე-დედოფალი გამოვიდნენ და გვირგვინ უკურთხნი წავიდნენ სხვა მღვდელთან“. როდესაც მღვდელმა მოსთხოვა რედაქციას და კორრესპონდენტს, რომ დაესახელებიათ ეს მეფე-დედოფალი და ის დრო, როდესაც ეს მოხდა, კორესპონდენტი ისე გაჰქრა, როგორც ერთი ცხოველი გაჰქრება ხოლმე სინათლის გამოჩენის დროს. რედაქციამ ბოდიში მოითხოვა, რომ შეცთომაში ჩაგვაგდო ერთმა ვიღაც უსინიდისო კორრესპონდენტმაო. შეიძლება ამისთანა ამბებს ფაქტი დაუძახოთ? სრულებით არა. ჩვენ ვიცით კარგად, თუ რა წყაროებიდამ მომდინარეობენ ეს ფაქტები... ძრიელ საეჭვოთ მიგვაჩნია ჩვენ „დროებისაგან“ მოყვანილი ფაქტებიც და სრულებით არ ვერწმუნებით ამ ფაქტებს. თუ ნამდვილია ეს ფაქტები ვსთხოვთ „დროების“ რედაქციას დაგვისახელოს ეს მღვდლები, რომელთაც ამისთანა საძაგელი საქციელი ჩაიდინეს. ვიმეორებთ, ჩვენ არ გვჯერა, რომ სადმე ამისთანა შეუბრალებელი მღვდლები იყონ.

„დროება“ მოგვითხრობს, რომ მთელი სახლკარი გადაეწვათ და სულის მეტი აღარ გარდარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიათო მრევლსო; ჩაფარი ამბობს: „სახლშიდ შევედი და ვერაფერი ვნახე, გირაოთ წამომელოვო!“ თუ სახლ-კარი გადაეწვათ, რომელ სახლში შევიდოდა ჩაფარი?!.

მაგრამ, ვსთქვათ, მოხდა სადმე ამისთანა შემთხვევა; გამოჩნდა, ვსთქვათ, ორი მღვდელი ამისთანა მძიძარნი და შეუბრალებელნი. განა ამ ორი მღვდლიდამ შეიძლება კაცმა გამოიყვანოს დასკვნა ყველა მღვდლებზე? განა ამ ორი მღვდლის შეუბრალებლობის მიზეზით მოსპო ხალხმა სიარული ეკკლესიებში?

„დროებას“ გამოჰყავს გლეხის დამღუპველ მიზეზად ის, რომ მღვდლის მისაცემი სამარხი სამი მანეთი არ მოეძიება ხშირად გლეხსო და ამ სამ მანეთს ის სესხულობს და ბოლოს ერთი ათად ხდება და იღუპებაო. ტაქსით მთელი გარდასახადი გარდაცვალებულზე გლეხს ოთხი მანეთიდამ ერთ თუმნამდის ხდება. ეს დასამარხიც არის, საწირავიც: „შვიდის,“ „თუთხმეტის,“ „ორმოცის“ და „საწლოც.“ რამდენიც გინდა სთქვი, ერთი თუმანია და ერთი. საკლავები და პურ-ღვინით ხორაგეულობა ერთი გარდაცვალებულისა წლის განმავლობაში ეღირება თხუთმეტი თუმანი. ეს არ აღარიბებს გლეხსო და მღვდლის სამი მანეთის გადახდა კი ღუპავსო! რა საუცხოვო მსჯელობაა!..

მადლობელი ვართ, ბატონებო, რომ ჩვენს საქმეზედაც სჯით და ფიქრობთ, მაგრამ უფრო მადლობელი ვიქნებით, თუ ამისთანა უმგვანო და უსაფუძვლო მსჯელობისაგან განგვათავისუფლებთ. კარგად გამოიკვლიეთ, გაიგეთ, შეიტყვეთ და ბოლოს სწერეთ.

ეცადეთ, ბატონებო, რომ „დროებას“ სახელი აღუმაღლოთ ხალხის თვალში და სრულ წლოვანებაში მოსული ერთად ერთი საერო წოდების ქართული გაზეთი ალაპარაკოთ გონივრულად და წინ დახედვით.

## თბილისის საეპარქიო ქალების სასწავლებლის შესახებ.

ყველას, ვისაც შეუწირავს ფული თბილისის საეპარქიო ქალების სასწავლებლისათვის, ან მომავალში შესწირავენ, ის განზრახვა აქვთ, რომ უმეტესი ნაწილი ქართველთ სასულიერო წოდების ქალებისა აღიზარდნენ ხსენებულ სასწავლებელში და, როდესაც გამოვლენ ცხოვრებაში, თვისი გავლენით აღამაღლონ ზნეობითი და გონებითი მდგომარეობა ქართველთა სამღვდელო ოჯახებისა, აგრეთვე უჩვენონ გლეხთა მდედრობითი სქესსა კეთილი მაგალითი გონივრული და ღვთისნიერი ცხოვრებისა. ამ განზრახვითვე, უეჭველია, სწირავს თვით სამღვდელოებაც ამ სასწავლებლისათვის საჭირო ფულს თბილისის წმიდა სანთლის ქარხნის და თავის საკუთარი შემოსავლიდგან. მაგრამ ამ სასწავლებლის საქმეები ჯერ-ჯერობით ისე არის დაყენებული, რომ არ არის გაადვილებული სამღვდელოებისათვის იქ ქალების აღზრდა, როგორც სასურველია. გარდა ზოგიერთა ობოლი ქალებისა, რომელნიც მიიღებიან სასწავლებლის პანსიონში სრულს სასწავლებლის ხარჯზედ, ძრიელ ცოტანი სარგებლობენ ამ სასწავლებლის არსებობით ახლანდელი მისი მდგომარეობისა და წესების გამო. უძლიერესი დაბრკოლება, რომელიც უშლის სამღვდელოებას ქალების აღზრდას ამ სასწავლებელში, არის ის წესდება, რომლის ძალითაც ამ სასწავლებლის მთავრობა თხოულობს სამღვდელოებისაგან ქალების პანსიონში მიღებისათვის, გარდა ყოველ წლიურ შესატანის ათის თუმნისა, კიდევ ხუთს თუმანს პირველ მოწყობისათვის, ესე იგი, საჭირო ავეჯის, ტანისამოსის და ქვეშაგების მოსყიდვისათვის რომელიც მშობლებმა უნდა შეიტანონ ერთბაშათ პირველს წელიწადს სასწავლებელში ქალის შეყვანის დროს. პირველს წელიწადს ერთბაშათ თხუთმეტი თუმანი რომ არ იყოს შესატანი, მრავალი მღვდელი და მეფსალმუნე მიაღებინებდა თავის ქალებს სწავლას საეპარქიო სასწავლებელში, რადგან ამისათვის საჭიროა მხოლოდ ათა-ათი თუმნის შეტანა ყოველ წლივ, გარდა პირველის წლისა. მაგრამ ხუთმეტის თუმნის შეტანა პირველს წელიწადს ისე უძნელდებათ მშობლებსა, რომ ისინი, წინააღმდეგ თავისი სურვილისა, სამუდამოთ ხელს იღებენ თავიანთი ქალების სწავლებაზედ. მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც უშლის სამღვდელოებას ქალების აღზრდა საეპარქიო სასწავლებელში, არის თხუთმეტი მანეთი, რომელიც ეხლა ქალის მშობლებმა უნდა შეიტანონ სასწავლებელში სწავლების ფასად ყოველ წლივ. თუ სამღვდელოებას ჰსურს, რომ სხვა და სხვა პირთაგან სასწავლებლისათვის შემოწირულმა ფულმა და იმ ხარჯმა, რომელიც თვით სამღვდელოებასა აქვს ყოველ წლივ ამ სასწავლებელზე, ჯეროვანი სარგებლობა მოუტანოს მას, აუცილებლად საჭირო არის მოისპოს ხუთი თუმანი პირველ მოწყობისათვის და თუთხმეტი მანეთი ყოველს წლივ სწავლების ფასად შესატანი სამღვდელოებისაგან

ფული. მაშინ მრავალნი მღვდელნი და მათი მეფსალმუნენი შეიძლებენ რამდენიმე წლით მაინც შეინახონ თავიანთი ქალები ამ სასწავლებელში და მიაღებინონ მათ მცირედი მაინც ზნეობითი და გონებითი განათლება.

ეს გარდასახადის მოსპობა კარგია მშობლებისათვის, მაგრამ სასწავლებელს რომ შემოსავალი მოაკლდებაო? მეტყვიან. მართალია, სასწავლებელს შემოსავალი მოაკლდება, ისიც მართალია, რომ თითო ქალს ყოველს წელიწადს თხუთმეტ თუმანზედაც მეტი მოუნდება შენახვით და სწავლებით, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ სამღვდელოება მოვალე არ იყოს, რაც შეიძლება გაადვილოს თავისი შვილების ზნეობითი და გონებითი განვითარება. თუ თხუთმეტს თუმანს ან კიდევაც მეტს დავხარჯავთ, ჩვენ შეგვიძლიან საერო სასწავლებელშიაც გავზარდოთ ჩვენი ქალები. მაგრამ რადგან საკუთარი სასწავლებელი გვაქვს ქალებისათვის, ურიგო არ იქმნება, გავიმეორებ, რომ უმეტესად გავაადვილოთ იქ ჩვენი ქალების აღზრდა. ამისათვის სამღვდელოებისათვის საჭიროა სამაგიეროთ პირველ-მოწყობის ხუთი თუმნისა და სწავლების ფასის თხუთმეტი მანეთისა აღმოაჩინოს რომელიმე ახალი წყარო შემოსავლისა, ან გაადიდოს საეპარქიო სასწავლებლის შემოსავალი იმავე წყაროდგან, საიდგანაც ეხლა იმას შემოსდის ფულები. თუ ეს უკანასკნელი არ მოხერხდება, და სხვა ახალი წყაროს მოპოვება შეუძლებლად გამოჩნდება, მაინცა და მაინც არ უნდა მოვსპოთ მზრუნველობა ჩვენი ქალების აღზრდის გაადვილებისათვის. ჩვენ შეგვიძლიან დაკლებული ფული გავინაწილოთ მრთელი ეპარქიის კრებულთა შორის. თითო კრებულს ამ ფულიდგან შეჰხვდება ძლიერ მცირე ნაწილი, რომლის გარდახდა მისთვის სრულებით საგრძნობელი არ იქმნება, ამით ჩვენ ერთმანეთს შემწეობას მივსცემთ, ერთმანეთს შევაძლებინებთ, რომ ყველა ჩვენგანმა, რომელთაც ეხლა ქალები უსწავლელნი რჩებათ, მისცენ ამ ქალებს საჭირო განათლება, და მაშინ ჩვენს ოჯახებში გამრავლდებიან ზნეობით და გონებით განათლებულნი ქალები, რომელთაც კეთილი გავლენა ექმნებათ ხალხზედ. თუ ჩვენ ვუქადაგებთ მრევლთა ერთმანეთის დახმარებას საზოგადოთ, და კერძოთ სასწავლებლების გახსნას ერთმანეთის შემწეობით, რატომ ჩვენ თვითონ კი არ უნდა ვიხმაროთ ესევე საშუალება ჩვენივე ცხოვრების გაუმჯობესობისათვის მომავალში და ქველ-მოქმედების ცხოველი მაგალითის მიცემისათვის? ნუ თუ ქალების აღზრდა წესიერად არ არის საჭირო და მხოლოდ ვაჟების აღზრდაზედ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენა? არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ჩვენ ერთმანეთს არ დავეხმარებოდით, ვერც ერთს ჩვენს სასწავლებელს ვერ მოვიყვანდით იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ეხლა არიან ისინი, და უამისოდ მათი გაუკეთესებაც შეუძლებელია მომავალში.

ბოლოს არ შეიძლება არა ვსთქვა, რომ თუ სამღვდელოებამ იპოვა ნივთიერი საშუალება იმისთვის, რომ სამ-კლასიანი სასწავლებელი გარდაკეთდეს ექვს კლასიან სასწავლებლად, უეჭველია, იპოვის იმ საშუალებასაც, რომ უმეტესად ახლანდელზედ გაადვილოს თავისი ქალების აღზრდა. მაშინ იქმნება ეს სასწავლებელი მრთელი ეპარქიის სამღვდელოებისა, როდესაც მცირე შეძლების სასულიერო წოდების პირსაც ისე ექმნება იმისი იმედი, როგორც დიდი შეძლებისასაც.

მღვდელი სიმეონ რცხილაძე.

## საისტორიო მასალა.

(დასასრული).

### IV. შუამთის მონასტერი.

ეს მონასტერი არის აღშენებული ხახულისა ღვთისმშობლის სახელზედ მეთექვსმეტე საუკუნეში დედოფალის თინათინისაგან, რომელიც იყო მეუღლე კახთა მეფის ლეონისა; მონასტერი სიგრძით არის შვიდი საჟენი და სიგანით ოთხი საჟენი და ორი ადლი, ხოლო სიმაღლით გუმბათითურთ თორმეტი საჟენი.

კანკელი ამა ეკკლესიაში სდგას ფიცრისა, რომელიც დახატულია მოსკოვში და შემოწირულია მოსკოვში ცხოვრებულის საქართველოს დედოფალის მარიამისა და მის შვილთაგან მეცადინეობით წინამძღვრის ქრისტეფორე ჩოლოყაშვილისათა.

მარჯვნივ მხარეს სდგას ხატი ღვთის-მშობელისა, ოქროთი მოოჭვილი, რომელსაც უსხედს ერთი დიდი იაგუნდი წითელის ფერისა და ორმოცდა თექვსმეტი მოსაშუალო და წვრილი იაგუნდები, თოთხმეტი მშვენიერი მომსხვილო ფირუზი, ოცდა თექვსმეტი მოწვრილო ფირუზი, ერთი ალმასი საშუალო სიდიდისა და ოცდა თოთხმეტი წვრილი მარგალიტი. ამა ხატსა ზურგზედ აქვს ესრედი წარწერა: ჩრდილოდ, მთად, კიბედ და ტრაპეზ, ბჭედ და კრძალულად, კვერთხად აღუვავებულად მოგასწავეს შენ წინასწარმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუელთა ღვთის ღუდარ, ქალწულო უბიწოო: მეცა ცოდვაგებ ჭეშმარიტად ღვთისმშობლად, იესუს მიერით აღმოსრულო ქალწულო, შენგან შობილსა მეუფესა ქრისტეთ არქვუ: გიყვარ თუ ცხებილო მეო ჩემო ისმინე: მამკობსა ჩემსა მეფესა ლეონს, და თანა მემცხედრესა, პატრონსა დედოფალს თინათინს ნუ დასჯი, რაჟამს განიკითხვიდე კაცთა: შევამკევით ხატი ესე ხახულის ღვთისმშობლისა მეოხებისა ჩვენისა წარსამართებლად, სულისა ჩვენისა სახსრად და მეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ამინ. ამინ, ამინ. ამავე ტაძარში არის დასაფლავებული ესევე დედოფალი თინათინ.

2. ხატი ღვთისმშობლისა, მოოჭვილი ოქროში ცურვებულის ვეცხლით, არის დადგმული გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის მარიამის საფლავზედ.

3. ხატი მაცხოვრისა, მოოჭვილი ოქროში ცურებულის ვეცხლით, რომელსაც უსხედს სამოცდა ათი მარგალიტი, რვა ზურმუხტი, ხუთი იაგუნდი და ორი ლალი. არის დადგმული გარსევან ჭავჭავაძის საფლავზედ.

ძანძთაგან იპოვებიან შემდეგნი: 1. ხომლი ვეცხლისა, წონით 953 მისხალი; 2. კანდელი ვეცხლისა, წონით ას-რვა მისხალ-ნახევარი; 3. კანდელი ვეცხლისა, წონით ასი მისხალი; 4. კანდელი ვეცხლისა, წონით ოთხმოცდა თექვსმეტი მისხალი; 5. კანდელი ვეცხლისა, წონით ოთხმოცდა თხუთმეტი მისხალი; 6. კანდელი ვეცხლისა, წონით ასი მისხალი; 7. კანდელი ვეცხლისა, წონით ას-ხუთი მისხალი; 8. კანდელი ვეცხლისა, წონით ასი მისხალი. ამათ ყველას აქვს ესრედი წარწერა: ქ. ჩვენ მეფე ირაკლიმ გავაკეთებინეთ შუამთის ხახულის ღვთისმშობლისათვის თავის მამულის შემოსავლიდამ, ქორონიკონს უმვ; 9. საზეთე კანდელი ჯაჭვებით, წონით ორმოცდა ექვსი მისხალი, არის შემოწირული მეფის ძის ფარნაოზისაგან; 10. ვეცხლის კანდელი, წონით ოცდა ცამეტი მისხალი; 11. ვეცხლის კანდელი, წონით სამი გირვანქა და ორმოცდა რვა მისხალი, შემოწირულია მინგრელიის მთავრისაგან 1848 წელში; 12. საზეთე კანდელი, წონით სამოცდა შვიდი მისხალი, შემოწირულია 1837 წ.; 13. საზეთე კანდელი ვეცხლისა, წონით ოცდა თექვსმეტი მისხალი. შემოწირულია 1829 წ. ქეთევანისაგან; 14. ვეცხლის ჯვარი ტრაპეზისა მოოქროვილი, წონით ორგირვანქა ნახევარი. აწერია: ღმერთო მოიხსენი შემომწირველი არხიეპისკოპოსი იოანე რუსთველი, წელსა განხორციელებიდგან ქრისტესა 1784; 15 ჯვარი ტრაპეზისა, წონით ერთი გირვანქა და თექვსმეტი მისხალი; 16. ჯვარი ვეცხლისა სახელურით; 17. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვეცხლისანი მოოქროვილნი, წონით სამას ორმოცდა ერთი მისხალი. შემოწირულ არიან მეფის ძის ბაგრატისაგან; 18. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი მოოქროვილის ვეცხლისანი, შემოწირულნი არიან არხიმანდრიტის ქრისტეფორესაგან, წონით 340½ მისხალი; 19. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვეცხლისანი, წონით ორას სამოცდა თერთმეტი მისხალი. შემოწირულ არიან მეფის ირაკლის მეორისაგან; 20. განსაზავებელი ვეცხლისა, მოოქროვილი, წონით თერამეტი მისხალი; 21. განსაზავებელი ვეცხლისა, წონით თორმეტი მისხალი; 22. სასეფისკვერე თევში ვეცხლისა, წონით 138 მისხალი, შემოწირულია კნიაჟნა სიდონია აბაშიძისაგან; 23. სანაწილე ტრაპეზისა, მოოქროვილი, წონით ოთხმოცდა თხუთმეტი მისხალი. აწერია: შემოვსწირე ნინა გრიბოედოვისამ 1837; 24. ვეცხლის საცეცხლური წონით ას სამოცდა ორი მისხალი. შემოწირული საზოგადო მოძღვრის ნიკოლოოზისაგან, ქორონიკონს უნვ; 25. ვეცხლის საცეცხლური, წონით ერთი გირვანქა, შემოწირულია არხიმანდრიტის პაფნუტისაგან; 26. ვეცხლის სინი, წონით გირვანქა ნახევარი. აწერია: მინგრელის მთავრინა ეკატერინემ შემოვსწირე მოსახსენებლად მამის ჩემის თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის და დედის ჩემის სალომესი 1848 წ.; 27. ვეცხლის სურა, წონით 44 მისხალი. აწერია: შუამთის არხიმანდრიტმან და მოადგილემ თელავის არხიეპისკოპოსისა ეპიფანემ გავაკეთებინე შუამთის მონასტრისთვის პირველს ჩემს მოსვლაში; 28. ამგვარივე სურა იმავე წარწერით; 29. სურა ვეცხლისა, წონით 54 მისხალი. აწერია: შევსწირე მხევალმან ბარბარემ მოსახსენებლად ჩემის მეუღლის სულხან ვახვახოვისა, მოიხსენე; 30. ვეცხლის ბადია, წონით ოცდა თორმეტი მისხალი; 31. ამგვარივე ბადია, წონით ოცდა შვიდი მისხალი; 32. ამგვარივე ბადია, წონით ოცდა შვიდი მისხალი: 33. ამგვარივე ბადია, წონით თოთხმეტი მისხალი; 34, ვეცხლის აზარფეშა, წონით სამოცი მისხალი; 35. ვეცხლის კოვზი წონით თხუთმეტი მისხალი; 36. ვეცხლის სტაქანი, წონით თორმეტი მისხალი. არის კვალად რამდენიმე ოქროს ბეჭედი, საყურეები, ლილები და ქინძისთავი.

ხელთ-ნაწერნი წიგნნი: 1. სახარება, ნაწერი ხუცურად; აქვს ბოლოს წარწერა: წმიდანო მთავარანგელოსნო, დაიცვენით ორთავე შინა ცხოვრებასა პატრონი თეკლე, რომელმანცა შევსწირე ესე სახარება შუამთის ეკლესიას ამინ. ყამთავითარებისაგან მიეფარა სახარება ესე და იყო ტყვედ, განმანათლებელმან წმ. ეკლესიებისა ირაკლი მეორემ მიიღო უკანვე და მოაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნილობისამებრ. დაიცვან ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებასა. იანვრის 20 ქორონიკონს უე; 2. თარგმანება მათეს სახარებისა ორს წიგნად; თარგმანება იოანეს სახარებისა; 4. სამღვდელო მთავრო კონდაკი, დაწერილი საეკკლესიო ასოებით რუსულად და ქართულად. მწერალი არა სჩანს; 5. სადღესასწაულო, ხუცურად ნაწერი; 6. წესი ხატების კურთხევისა, რუსულად ნაწერი; 7. მანანა, მხედრულად ნაწერი; 8. სამოთხის ყვავილი, მხედრულად ნაწერი. ბოლოს აწერია: ესე საღმთო წერილი დაწერილი ჩემგან შეკსწირე იერო დიაკონმა ნიკოლოზ 1799 წ. 1 იანვრის ორხ; 9. ქართული ღრამატიკა კითხვა მიგებით; 10. წმიდათ ცხოვრება. აკლია თავი და ბოლო; 11. ორს წიგნად იოანე დამასკელისა.

მვდ. მ. ხელაევი.

---

## კათოლიკოზი ანტონი II.

(გაგრძელება).

ახლა მოვიყვანთ ცნობებს ანტონის მოღვაწეობაზედ ეკკლესიის დასამკვიდრებლად და წარსამართებლად და შემდეგ ვუჩვენებთ იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს მისი დათხოვნა ამ მაღალი თანამდებობიდამ.

ეს დრო, რა დროსაც სცხოვრებდა ანტონი, ისეთი დრო იყო, რომ მთლად იგი შთაენთქა სამხედრო საქმეებსა, მრავალთა ცვლილებათა, რომელნიც შემოჰქონდათ საქართველოში. ამიტომ უმთავრესი ყურადღება მაშინდელთ მწერალთა, თუ იყვნენ ამ გვარნი და ყოველი წოდების და ღირსების პირებისა მიპყრობილი იყო ამ ცვალებისადმი, ამ გადახალისებისადმი. ამიტომ ამ დროის კერძო პირთა მოღვაწეობა, თუნდ ეს პირნი ისეთი თანამდებობისა იყვნენ, როგორიც იყო ანტონ კათოლიკოსი, მაინც მივიწყებული ანუ, უკეთ ვსთქვათ, უყურადღებოდ დაშთენილი იყო და ამიტომ გამორკვევა იმისი, თუ რომელმა პირმა რა მოიღვაწა ამ დროს, ან რა გააკეთა ღირს-შესანიშნავი, მეტად ძნელია. თუმცა ანტონი ამ გვარს ძნელს და მძიმე დროს სცხოვრებდა, მაგრამ ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ერთი ორი მაგალითი დასამტკიცებლად იმისა, რომ ანტონის ცხოვრებასაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია ღვიძლი ერისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ანტონი იყო მღვდელ-მთავარი, უნდა ვიფიქროთ რომ მას ეკკლესიებში უნდა ექადაგნა ხალხისათვის, დაერიგებინა იგი და გაემხნევებინა. გარდა ამისა, ანტონის დროს ყოფილან საქართველოში, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ორი სემინარია და სხვა და სხვა სასწავლებელნი, რომლებშიაც სწავლობდა მოზარდი ახალ-გაზრდობა. ამ სკოლებში მასწავლებლებად და უფროსებად თითქმის ყველანი სასულიეროთაგანი იყვნენ და მათი გამწესება ამ თანამდებობაზე თუ ანტონის განკარგულებით არ მოხდებოდა, იმის დაუკითხავად ხომ არ შეიძლებოდა, რადგან მეფენი ყოველ შემთხვევაში კათოლიკოზების თანახმად მოქმედებდნენ. თუმცა არსაიდამ არა სჩანს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონს ამ სკოლებზე უნდა ჰქონოდა თვისი ზედამხედველობა ისე, როგორც წინანდელთა კათოლიკოსთა.

სემინარიის გარდა თბილისში ყოფილან შემდეგი სკოლანი: კალოუბნისა, სიონისა, ქაშვეთისა, მეტეხისა და ანჩისხატისა. ამ სკოლებში უსწავლებიათ: წერა-კითხვა, გალობა, გრამმატიკა, კატეხიზმო, ისტორია, ფილოსოფია და ღვთის-მეტყველება (ცხოვ. გიორგი XIII გვ. 218). 1789 წ. მეფე გიორგის თბილისში ჩამოსული თელავის სემინარიის რექტორისთვის უბრძანებია დახედოს ამ სკოლებსა და თვითცა წაბრძანებულა დასახედავად კალოუბნის ეფრემ მღვდლის სკოლისა. მოწაფეთათვის წაუკითხებია: დავითნი, პარაკლიტონი, ჟამნი ხუცურად, უგალობებებია და თვითაც უგალობნია მათთან. დაუნახავს-რა, რომ სკოლა წარჩინებულ მდგომარეობაშია, ძალიან გამხიარულებულა, მოწაფეთათვისუბოძებია თითო აბაზი და შემდეგის სიტყვებით განშორებია მოწაფეთა: „გეშინოდესთ ღვთისა, შეიქმნებით ბრძენი და შვილნი ეკკლესიისანი.“

სკოლების ამ გვარ მდგომარეობაზე უნდა ჰქონოდა გავლენა ანტონ კათოლიკოზსა, რომელიც ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა ამ კეთილს საქმესა. ამ ნაირი ჩვენი აზრი მტკიცდება, სხვათა შორის, იმ ყრუდ მოთხრობითი ამბავიდამ (იხ. Бут., ტ. II გვ. 340, შენიშვნა 2), რომლიდამაც სჩანს, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ ყოფილან სემინარიები თბილისში.

სკოლების გარდა ანტონს უზრუნია სასულიერო წიგნების დასაბეჭდავად (იგივე შენიშვნა), მაგრამ რა მონაწილეობა მიუღია, ან რა გვარად ულვაწნია მას ამ საქმეში, არა სჩანს ჩვენს ხელთა მყოფი მასალებიდამ.

ანტონისვე ჰსურვებია შიო-ღვიმის მონასტრის გაახლება და განკარგება, კიდეც უთხოვნია ხელმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფისაგან შემწეობა, მაგრამ თ. ციციანოვს (20 იანვარს, 1804 წ. № 56-ით) მოუხსენებია გრაფი ქაჩუბეისათვის, რომ ამ მონასტრის წინანდელ ლონეზედ დასაყენებლად *) დიდი ფული დაიხარჯებაო, რაიცა ხაზინისათვის მძიმე ტვირთიაო და საქართველოსათვის უსარგებლო, ამიტომ მე გთხოვთ მოახსენოთ მ. ი. უდიდებულესობას და სთხოვოთ ინებოს და მოაწოდოს ამ მონასტერს მცირეოდენი ჯამი ფული, როგორც მოწყალებაო (იხ. Акт. т. II გვ. 265—266).

ანტონს ულევაწვნა საეკკლესიო გალობის გაუმჯობესობისათვისაც. მაგრამ ამ საქმეშიაც მას გამოსჩენია ხელის შემშლელი. ესა სჩანს იმ დოკუმენტიდამ, რომელიც დაშთენილა მომავალი დროისთვის. ეს დოკუმენტი აღუბეჭდიათ (Археог. ком. მეორე ტომში, გვ. 268) ამ სათაურით: წერილი თ. ციციანოვისა კათოლიკის ანტონისადმი 25 მარტს, 1804 წელს, № 224. ამ წერილით ციციანოვი კათოლიკს ატყობინებს, რომ არხიმანდრიტ გერასიმეს და მის ძმას, რომელნი გამოწერილნი ყოფილან ქართული საეკკლესიო გალობის მასწავლებლად და რომელთაც ეძლეოდათ მ. უ. მეფის ერეკლისაგან ჯამაგირი და რომელთათვისაც გვთხოვთ დაუნიშნოთ იგივე ჯამაგირი, მე თქვენი მეუფების ამ გვარს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებ და ვერ ვიშუამდგომლებ, რომ მათ დაუნიშნოთ ჯილდო, რადგან ეხლა მიღებულია წესად, რომ დაკმაყოფილებულნი იქმნენ მხოლოდ ღრამატით მეფის გიორგისა. და ესეც რომ არ იყოს, როგორც ვხედავ, ხსენებული გალობა რიგიანად ვერ დანერგულა, რადგან გალობა აქაურს ეკკლესიებში უფრო წააგავს თხათა !! ჩხავილს !! და თუ კი გადმოიღებთ კიევის გალობას, მაშინ ეკკლესიანი გაწყობილნი იქმნებიან მშვენიერის გალობით.

ჩგონია, რომ გალობაზედ ლაპარაკი ამ წერილითვე მოსპობილა, რადგან ამის შემდეგ მიწერ-მოწერა ამ საქმეზედ სრულიად შეწყვეტილა.

ანტონის უზრუნვია აგრეთვე, რომ დაეცვა თვისი ეკკლესიის და ხამწყსოს წესნი და სარგებლობანი. და ამისთვის იგი არ დარიდებია და მცირეოდენი წინაალმდეგობა გაუწევია თვით საქართველოს მთავარ-მართებლის ტორმასოვისათვის.

გენერალს ტორმასოვს (3 აპრილს, 1810 წელს № 543) მიუმართავს კათოლიკოზისადმი წერილით და მიუწერია: წესად მიღებულიაო, რომ ჯარს ჰქონდეს თვისი საკუთარი ეკკლესიაო და ამის მიხედვით განკარგულება მოვახდინეო, რომ ქაშვეთის ეკკლესია დაეთმო ჯარისათვისაო. იმ ეკკლესიაში კვირაობით და უქმობით უნდა სწიროს რუსის ღვდელმაო და სხვა დღეებში ქართველ მღვდელმა. მაგრამ ქაშვეთის მღვდლები პეტრე და პავლეს ჰსურსთ რომ კვირა-უქმობითაც მათ სწირონო; ამ მღვდლებს კი სხვა სახსარი დაუნიშნეთო. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ ეს ეკკლესია კვირა-უქმობით ჯარს დაუთმონო.

ამაზედ ანტონი მოახსენებს (ტ. IV გვ. 151, წერილი ანტონის გენ. ტარმოსოვისადმი 25 მაისს 1810 წ.) ორთავე ქართველნი ღვდელნი იქვე უნდა დარჩნენო. კვირა-უქმეობით სწიროს რუსის მღვდელმა. სხვა დღეებს ქართველმა ღვდელმა, რომელთ განკარგულებაში უნდა იყოს როგორც ეკკლესია, ისე იმის შემოსავალიო.

მოსე ჯანაშვილი.

---

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

,,გრდემლი''—თხზულება ბესარიონ კათოლიკოზისა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური საქმეების მდგომარეობა შეიცვალა: საუკეთესო მსაჯული და გამოცდილი მეფე ლეონი სპარსეთში იქმნა მიწვეული და იქ მასს მისცეს ირანთ უფროსობა. ამ დროს საქართველოში განძვინებული ყეინი მეცადინეობდა, რომ აქ მსაჯულად და გამგებლად დაესვა ვინმე მაჰმადის სარწმუნოების მომხრე და მით დაემხო ქრისტიანობა საქართველოში. მართლაც, ყეინის ამგვარმა მოქმედებამ ძალიან იმოქმედა: ბევრნი საქართველოს წარჩინებულნი პირნი, მსურველნი ამაღლებისა, იღებდნენ მაჰმადის სარწმუნოებას და აღთქმას აძლევდენ ყეენს ნამდვილს ქვეშევრდომობისას, თუ კი ის მათ საქართველოს ტახტს ჩაუგდებდა ხელში. ტახტის ძებნამ ისე დააბრმავა ბევრნი, რომ თვით ანტონ კათოლიკოზის მამამ, იესე ბატონიშვილმა, მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და ამგვარად გახდა საქართველოს ტახტის მემკვიდრედ; მაგრამ გზა დაკარგულს საქართველოს ერს ვერც

---

*) ამ მონასტერს ჰქონია დიდი მამულები ქართლში, კახეთში. წინამძღვრად ჰყოლია 1 არხიმადრიტი; ძმანი — ბერნი 700, რომელთაგან უმეტეს ნაწილს უსწავლებიათ ყრმათათვის: პოეზია, მათემატიკა და არხიტექტურა (იხ. Акт. т. II გვ. 266).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან უშველა. თვით საქართველოს კათოლიკოზმა დომენტიმ, ლეონ მეფის ძემ, ისურვა მაჰმადის სარწმუნოების მიღება და ცოლის შერთვა, თუ ყეენი მას ს ქართველოის ტახტის მემკვიდრედ გახდიდა. როცა ეს ამბავი შეიტყო დომენტის მამამ ლეონმა, რომელიც ამ დროს ირანთ მსაჯულად ითვლებოდა, მოვიდა საქართველოში, ჯერ სიტყვიერად ურჩია შვილს, რომ მას ქრისტიანობა არ უარ ეყო,— როცა ვერა გაარიგა-რა, მაშინ მოჰკლა თავის შვილი. ლეონიც ამ დროს მაჰმადის სარწმუნოებაზე იყო გადასული, მაგრამ იგი საიდუმლოდ აღიარებდა ქრისტეს სარწმუნოებას. ლეონის ამ გვარს მოქცევაზე მოწმობენ: ბატგაუზენი, ლათინთ და სომეხთ მოძღვარნი.

დომენტის შემდეგ საქართველოს ტახტი ბესარიონ კათოლიკოზმა მიიღო. ამ კათოლიკოზს საქართველოს ისტორია საკმაოდ განვითარებულ კაცად სთვლის. ბესარიონ კათოლიკოზი, მხედველი საქართველოის ესრეთის უბედურებისა, ევედრებოდა ყველას, რომ მათ დაეტოვათ მამულის მტერობა და კვლავ აღედგინათ საქართველოში ქრისტიანობის ძლევა-მოსილი დროშა. თავის მიზნის მისაღწევად ბესარიონი დაუღალავად ჰქადაგებდა და ჰგოდებდა სამშობლოზე იერემია წინასწარმეტყველივით. მისი ამ გვარი ქადაგება არც უნაყოფოდ რჩებოდა. ბესარიონს, როგორც სამშობლოის და მისი ეკკლესიის სიყვარულით გამსჭვალულს, ერთგულს მამულის შვილს, ანტონ კათოლიკოზიც იხსენიებს თავის ,,წყობილ-სიტყვაობაში და დიდათ აქებს მას. ეს ბესარიონ კათოლიკოზი, როგორც მამულის მტკიცედ მოყვარული, მაღალი ზნეობის და კეთილ-მშობლიური გრძნობებით სავსე კაცი, სასტიკად სდევნიდა, ჰკიცხავდა და აძაგებდა თავის თანამედროვების ბიწიერებათ, მაგ., ის თავის ქადაგებაში ხშირად შეაჩვენებდა და შერისხავდა ხოლმე ყმათა გამსყიდველთ.

ბესარიონ კათოლიკოზს მწერლობაშიაც ჰქონია მონაწილეობა. მის ნაწერებში პირველი ადგილი უკავია ერთ მის თხზულებას, სახელად ,,ბრდღემლს.'' ,,ბრდღემლის'' შინაარსი შეეხება ლათინთა და სომეხთაგან სარწმუნოების ზოგიერთ კითხვების დარღვევას. ანტონ კათოლიკოზი თავის ,,მზა მეტყველებაში'' და ,,წყობილ სიტყვაობაში'' ბევრგან იხსენიებს ამ წიგნს და იამბიკოსაც მიუძღვნის. ,,ბრდღემლი'' შესდგება ორასი გვერდისაგან; დაწერილია ნახევარ თაბახიან ქაღალდზედ. ეს წიგნი სავსეა სხვა-და-სხვა საინტერესო ცნობებით. ავტორი ყოველივე კითხვას დიდის დაკვირვებით ირკვევს და არჩევს. ამ წიგნის დაწერა, როგორც მის შინაარსიდგან სჩანს, გამოუწვევია მაშინდელი დროის საქართველოს ეკკლესიის არა სანატრელ მგომარეობას. ,,ბრდღემლიდამ'' ცხადათ სჩანს მისი ავტორისაგან სხვა და სხვა ხალხების სარწმუნოებათა ცოდნა და განსაკუთრებით ლათინთ, სომეხთ და ნესტორიანთ სარწმუნოებათა. მართალია, რომ ანტონ კათოლიკოზის ,,მზა მეტყველება'' უფრო მდიდარი და საფუძვლიანია შინაარსით, მაგრამ ეს მითაც აიხსნება, რომ ,,ბრდღემლი'' უფრო ადრე არის დაწერილი და საფიქრებელია, რომ ,,მზა მეტყველების დაწერა გამოწვეულია ,,ბრდღემლისაგან.'' ,,ბრდღემლიდამ'' ცხადად სჩანს, რომ ბესარიონ კათოლიკოზს უნდა სცოდნოდა ბერძნული და სომხური ენები. ეს ერთი მხრით იმითიც მტკიცდება, რომ ,,ბრდღემლში'' ავტორი იხსენიებს მრავალთ ისტორიულ წყაროებს, რომელნიც მაშინ შესანიშნავნი იყვნენ, და მასთანავე უჩვენებს, ვინ სად რას სწერს; მაგრამ ერთობ გაკვრით კი. ანტონ კათოლიკოზის ,,მზა მეტყველების'' ცნობათა სიმრავლე და ისტორიული ცნობების მოპოვება თვით ამ ,,ბრდღემლის'' მეოხება უნდა იყოს. ,,ბრდღემლი'' უფრო ცოცხალი, გასაგები და მდაბიური ენით არის დაწერილი, ვინემ ,,მზა მეტყველება.'' აქედამ მტკიცდება, რომ ,,ბრდღემლის დამწერს ისა ჰქონია სახეში, რომ მისი თხზულება სახალხოდ გამხდარიყო. ეს წიგნი ძველათ უფრო გავრცელებული ყოფილა ხალხში, მაგრამ დღეს მთელს საქართველოში ორი-სამი ცალი თუ მოიპოვება მისი, ერთი ინახება ბარესჯის უდაბნოში და ერთიც მღვდლის სამადოვის ხელშია. შარშან მღვდელი სამადოვი სწერდა, რომ ,,ბრდღემლის'' დაბეჭვდა მინდა, მაგრამ შეძლება არა მაქვსო, რომ ჩემი ხარჯით გამოვსცე ეს წიგნი და ამიტომ შემწეობას ითხოვდა საზოგადოებისაგან. საზოგადოებამ რა შემწეობა აღმოუჩინა მ. სამადოვს, არ ვიცით. ეს წიგნი იმდენათ შესანიშნავია თავის შინაარსით, რომ თუ ვინმე იკისრებს მის გამოცემას, ხარჯი ყოველთვის დაიხურება მისი შემოსავლისაგან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მ. სამადოვი კიდევ მიიქცევა საზოგადოებისადმი შემწეობისთვის და არ დასტოვებს ამ წიგნს დაუბეჭდავათ. ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ ზოგიერთი ჩვენი სამღვდელონი მხარს მისცემენ ამ საქმეში მ. სამადოვს მით უმეტეს, რომ მ. სამადოვი სხვა კაი წიგნების გამოცემასაც პირდებოდა მაშინ საზოგადოებას.

თბილელი.

## სწავლა მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა ზიარებაზედ.

ისრაილნი ყოველ წელს დღესასწაულობდნენ მათდამი ღვთის დიდს წყალობას—ეგვიპტელთ მონებიდგან თავის დახსნის დღეს. ამ დღესასწაულს უწოდებდნენ პასექად.

იესო ქრისტე თავისი თორმეტი მოწაფით მოვიდა იერუსალიმს აღსრულებად პასექისა. როდესაც შემზადებული იყო ყოველივე, ქრისტე თავისი მოწაფებით დასჯდა სერობად. ეს იყო უკანასკნელი პასექი ძველის აღთქმისა, რომელსაც ასრულებდა იესო: რამდენიმე ჟამის შემდეგ იგი, ტარიგი ღვთისა, აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა, დამსჭვალულ იქმნა ჯვარზედ.

მორჩნენ სერობას. გაათავეს ძველის აღთქმის პასექი. იესომ აიღო პური, აკურთხა იგი, გატეხა, მისცა მოწაფეთა თვისთა და უთხრა: „მიიღეთ და სჭამეთ—ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა;“ აგრეთვე აიღო სასმელი, შესწირა მადლი ღმერთს, მისცა მათ და უთხრა: „ჰსვით ამისგან ყოველთა—ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა.“ და მერმე:—„ამას ჰყოფდეთ მოსაგონებლად ჩემდა ვიდრემდის მოვიდე.“

ეკკლესია, ნებისაებრ მეუფისა, ჰყოფს ამას მოსახსენებლად მისსა: იგი აწც შესწირავს ამ მსხვერპლს. გარნა ეს მსხვერპლი არ არის ზღვენი, მსგავსი სხვათა შესაწირავთა, არამედ მსხვერპლი იგი არის გამეორება, — თუმცა სხვა სახით და სხვა მნიშვნელობით, — თვით გოლგოთაზედ შეწირულის მსხვერპლისა, თვით იესო ქრისტეს ჯვარცმისა. ეს მისთვის, რომ აქ ზღვნად შეწირული პური და ღვინო საიდუმლოდ, მიუწდომლად შეიცვლება, გარდაარსდება ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად, ისე რომ პური ნამდვილ და სრულიად შეიქმნება თვით ხორცად შვილისა და ღვინო—თვით სისხლად შვილისა, თუმცა პური და ღვინო არ დაჰკარგავენ თვის ბუნებრივ სახეს. მიმღები ამ შეწირულის პურისა და ღვინისა ეზიარება თვით ხორცს და სისხლს იესოსსა. ამ გვარად: ზიარება არის ისეთი საიდუმლო, რომელშიაც პურის და ღვინის სახით მორწმუნე მიიღებს ჭეშმარიტსა ხორცსა და ჭეშმარიტსა სისხლსა ქრისტესსა.

მივიღებთ რა ზიარებას, ჩვენ მივიღებთ საიდუმლოდ თვით შვილს იესოს, შევიქნებით მოზიარენი თვით ღვთაების არსებისა, მიუწთომელად დავკავშირდებით მასთან და მით იგი ჩვენ ყველას შეგვაერთებს, გვყოფს ერთ განუყოფელ საზოგადოებად, ეკკლესიად, ტაძრად, სხეულად თვისად.

საიდუმლოდ ზიარებაში ჩვენ შევერთდებით შვილს იესოსთან, რომელიც არს წყარო მადლისა და ეს მადლი ანუ ღვთისაგან გამომავალი მაცხოვნებელი ძალა მოგვენიჭება ჩვენ და ახოცს ჩვენს ცოდვებს, განსწმენდს, უმანკო ჰყოფს, განაბრწყინვებს ჩვენ სულს და შეიქმნება ჩვენ შორის წყაროდ კეთილი ცხოვრებისა. გარნა ესრეთ სარგებელ არს ჩვენთვითს ზიარება მხოლოდ მაშინ, თუ მცირედ მაინც ღირსნი ვართ განწმენდის და შეწყნარებისა, ხოლო უღირსთათვის იგი გარდაიქმნება ცეცხლად სასჯელისა: უღირსი ზიარების მიღებით უფრო განარისხებს ღმერთს, რადგან ამით იგი,—ბიწიერი, ცოდვილი,—კადნიერად, არა კრძალვით, უღირსად, არა პატივით შეეხება ყოვლად წმიდასა ღმრთისა,—შეიქმნება იგი თანამდებ ცხოველს მყოფელისა ქრისტეს ხორცისა და სისხლისა, შთავარდება მომაკვდინებელ ცოდვაში.

ამისთვის საჭიროა ყოველი ქრისტიანე ჯეროვანად ემზადებოდეს წარდგომისათვის ზიარებად: ჯერ არს გამოსცადოს სინიდისი თვისი წინაშე ღვთისა, მოიძაგოს ყოველი ბოროტი, მოაკვდინოს თვის შორის ასონი ცოდვისანი, განწმიდოს სინანულით სული თვისი და მერმე ესე განახლებული სულიერად წარზდგეს მაცხოვარებითის ბარძიმისადმი.

რადგან ზიარება არის წყარო მადლისა, ხოლო მადლი შვილისა საჭიროა მორწმუნეთათვის ყოველჟამ, ამისთვის ყოველი მორწმუნე უნდა ისწრაფდეს ამ საიდუმლოსადმი და იცავდეს თავს ისე წმიდად, რომ წელიწადში არა ერთგზის ღირს იყოს იგი ზიარებისა და უკეთუ ქვეყნიური ზრუნვები აბრკოლებენ მას წელიწადში რამდენჯერმე ეზიაროს, მაშინ წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად საჭიროა ზიარება.

რადგან ეკკლესიის ყოველივე წევრისთვის ყოველთვის აუცილებლად საჭიროა ზიარება, ამისთვის ზიარება უნდა აღსრულდებოდეს, ვიდრემდის არსებობს ეკკლესია, მართლ-მადიდებელთა საზოგადოება და რადგან ეკკლესია იარსებებს მოსვლადმდე ქრისტესსა, ამისთვის საიდუმლო ზიარებაც განგრძელდების, ვიდრემდის მოვალს იესო.

ზიარებისთვის იხმარება იფქლის ანუ ხორბლის ცომოვანი ანუ გაღვიებული წმიდა პური და ყურძნის წითელი ღვინო, რადგან 1) ესრეთი იყვნენ პური და ღვინო, რომელიც ჰქონდათ სერობაზე

იესოს და მის მოწაფეთ, 2) ამ გვარი პური და ღვინო უფრო მოგვაგონებს ხორცსა და სისხლს და 3) ამ გვარი შესაწირავი უფრო ეშესაბამება სიწმიდეს.

საიდუმლო ზიარება აღსრულდება ტაძარში უსათუოდ მღვდელთ-მთავრისაგან ნაკურთხს ტრაპეზზედ და ანუ, ტრაპეზის მაგივრად, ოდიკზედ.

ღვთის მსახურება, რომელშიაც აღსრულდება საიდუმლო ზიარება, იწოდება ლიტურგიად, წირვად.

საკუთრად ზიარებისათვის იხმარება ერთი პური ნიშნად ჩვენის ქრისტეს მიერ ერთობისა.

ღვინო ზიარებისათვის უნდა იქმნას განზავებული წყალით მოსაგონებლად იმისი, რომ იესოს ნაგმერის გვერდიდან გარდამოხდა სისხლი და წყალი.

ვ. ბარნოვი.

---

## მღვდელთა საყურადღებოდ.

(გაგრძელება).

### როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, როდესაც მრავალთ მაზიარებელი ეყოლებს.

ეკლესიური კანონისა მებრ მღვდელმა უნდა აზიაროს მაზიარებლები ტარიგის ორი ნაწილით, რომელზედაც არის დაწერილი ႨႱႵ და ႬႩ. ხშირად მღვდელი გარდება გაჭირვებაში, როდესაც ყველას არ ეყოფა ეს ორი ნაწილი და ზოგიერთები რჩებიან მეორე დღემდის უზიარებლად. ეს რომ არ შეემთხვეს მღვდელს, სეფისკვერი უნდა მოზდილი დაიკაოს. უნდა დათვალოს მაზიარებლები და ტარიგის ორი ნაწილი ႨႱႵ და ႬႩ დაანაწილოს რიცხვისა მებრ მაზიარებელთა. როდესაც ზიარებას გაათავებს, მერე უნდა ჩაასხვენოს ბარძიმში ფეშხუმზე რაც ცოცხლების და გარდაცვალებულების ნაწილებია. კანონი არ აძლევს მღვდელს ნებას, რომ სხვა ნაწილი იხმაროს და თუ წინათვე მღვდელი ასე თავდარიგს დაიკავებს, არასოდეს არ დააკლდება ნაწილი და უზიარებლად არავინ დარჩება.

### საზოგადო ცნობები და წარსადგენი ქაღალდები, რომელნიც ეკლესიის კრებულმა უნდა წარუდგინოს თავის ადგილობით ბლაღოჩინს.

იანვრის პირველს უნდა წარუდგინოს კრებულმა თავის ბლაღოჩინს ქაღალდები: ა) მეტრიჩესკის წიგნები, რვეულები, თეთრები და შავები ორივე ერთად; შესავალ-გასავლის წიგნები უწყებითურთ ასოებზე ა, ბ, გ და გ-ზე; ბ) ოპისკის წიგი საქორწინო საბუთებით. უწყება, თუ რამდენი გაიყიდა შენდობის ფურცელი და გვირგვინაკები დ რამდენია საჭირო დამდეგი წლისათვის; სამრევლო სამრეუნველოს შესავალ-გასავლის წიგნები, თუ სადმე ქითი სამზრუნველო; გ) ეკლესიის შენების შესავალ-გასავლის წიგნი, თუ სადმე ეკლესია შენდება ანუ ახლდება სადმე ეკლესიის ფულით დ ისიც ბევრი ფული თუ იხარჯება შენებაზე ანუ განახლებაზე; დ) წიგნი, რომელშიაც იწერება კრებულის შესავალი, სამრევლოდგან მიღებული; ე) მოხსენება კრებულისა ეკლესიის მდგომარეობაზე საზოგადო ეკლესიის ანგარიშის ფორმისამებრ; ვ) ფულები, კრუშკებში მოგროვილნი, სასარგებლოდ საეპარქიო სამზრუნველოისა და სხვათა დანიშნულებისამებრ დ ზ) სტატისტიკური ცნობები შობილთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა ზედა.

თ ა რ ტ ი ს თ ვე შ ი—უწყებანი სამრევლო-საეკლესიო სკოლებზე, რომელ უწყებაში უნდა იყოს ნაჩვენები მეწობა სასწავლებლისა, რიცხვი მოსწავლეთა, სქესი დ ვინ ასწავლის. ცნობების ფორმები დარიგებული იქმნება უკელაზე.

მ ა ი ს ი ს თ ვ ე შ ი უნდა წარუდგინონ კრებულთა უწყება მეტრიკების და აღსარებითი სიების ფურცლების რაოდენობაზე მათი ხვედრი ფულებითურთ და სხვა საჭირო ბლანკები, საჭირონი შეხედულობისამებრ მღვდლისა.

ს ე ქ ტ ე მ ბ რ ი ს თ ვ ე შ ი უნდა წარუდგინონ ბლაღოჩინს აღსარებითი სიები ორი ეგზემპლიარი, ერთი წარსადგენი და ერთიც ეკლესიაში დასატოვებელი; ამასთანავე უნდა წარმოუდგინონ ბლაღოჩინს მოხსენება იმისთანა პირებზედ, რომელნიც სამის წლის განმავლობაში არ ზიარებულან და მღვდლის ჩაგონებას მათზე არ უმოქმედებია.

ნ ო ე მ ბ რ ი ს თ ვ ე შ ი უნდა წარუდგინონ ბლაღოჩინს შედგენილი კლიროვის უწყებანი ოთხი ეგზემპლიარი: ერთი სინოდალნის კანტორაში წარსადგენი, მეორე ადგილობითი ეპარხიის ეპისკოპოსთან წარსადგენად, მესამე—ბლაღოჩინის კანცელარიაში შესანახავად და მეოთხე ეკლესიაში დასატოვებლად. ამავე თვეში უნდა აცნობონ ადგილობით ბლაღოჩინს ახლად აშენებულ ეკლესიის მდგომარეობაზე; თეთრ სასულიერო წოდებაზე, სხვა სარწმუნოების პირთა ჩვენ სარწმუნოების მიღებაზე, ჩვენი სარწმუნოებისაგან გამდგარ პირებზე; ამ თვეშივე წარედგინებიან კრებულთაგან ბლაღოჩინებს უწყებანი საავათმყოფოებზე და სამრევლო საეკლესიო სამზრუნველოებზე და საეკლესიო-სამრევლო წიგნთ-საცავებზე, გადამდგარ სამღვდელო მოსამსახურეთა და მქვრივთა, რომელნიც იღებენ პენსიას.

## შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ბლალოჩინის მღვდლის მამა თეოფანე ასათიანისაგან მის საბლალოჩინოში შეკრებილი ფულები თფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბი შაგირდების სასარგებლოდ თოთხმეტი მანეთი და ათი შაური. ეს ფულები შემოსულა შემდეგ პირთაგან:

1) ბლალოჩინის თ. ალ. მღვ. ასათიანისაგან 1 მან.
2) მღვდლის გიორგი ასათიანისაგან — 1 „
3) მღვდლის ევგენიოზ ახვლედიანისაგან 1 „
4) მღვდლის გრიგოლ ასათიანისაგან — 1 „
5) მღვდლის მატთე ხვადაგიანისაგან — 1 „
6) მღვდლის სვიმეონ ასათიანისაგან — 1 მან.
7) მღვდლის იოანე კვატაშიძისაგან — 1 „
8) მღვდლის ვასილი ახვლედიანისაგან— 1 „
9) მღვდლის მარკოზ სანიკიძისაგან — 1 „
10) მღვდლის ანდრია ფრუიძისაგან — 1 „
11) მღვდლის მაქსიმე გოლეთიანისაგან — 1 „
12) მღვდლის ანდრია სვანიძისაგან — 1 „
13) მღვდლის მიხაილ ფუტკარაძისაგან — 1 „
14) მღვდლის ვასილი ჩაკვეტაძისაგან — 1 „ და
15) დიაკონის საბა კვირიკაძისაგან — — 50 კ.

ეს ფულები დანიშნულებისა მებრ გაიგზავნა ჩვენგან.

# განცხადება.

## მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“

### და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოკიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლის —**სამი მანეთი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“.** ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: განჩინება საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორისა.—სემინარიის ახალი წესდება (გაგრძელება).—არა ოფიც. ნაწილი. საერო წოდების ჟურნალ-გაზეთთა მსჯელობა და აზრი სამღვდელოებაზე და მათ საქმეებზე.—თბილისის საეპარქიო ქალების სასწავლებელთა შესახებ.—საისტორიო მასალა: შუა მთის მონასტრის აღწერა.—ანტონ კათოლიკოზი და მისი დროება (გაგრძელება).—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—სწავლა მართლმადიდებელის ეკლესიის ზიარებაზედ.—მღვდელთა საყურადღებოდ.—შეწირულებანი.—განცხადება.

*Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Марта 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.